ევროკავშირი საქართველოსთვის

EU4Environment
Green Economy in Eastern Partner Countries

ეკო ეტიკეტის სრულყოფილად გამოყენება

ინფორმაცია მწარმოებლებისათვის

ფრთხილად! მწვანე პიარი!

ევროკავშირის ბაზრის ბოლოდროინდელმა კვლევამ აჩვენა, რომ ვებგვერდებზე გავრცელებული გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ინფორმაციის 42% სიმართლეს არ შეესაბამება. მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას კომპანიის მიერ გარემოს დაცვის პრაქტიკის ან მისი პროდუციისა და მომსახურების ეკოლოგიური სისფთავის შესახებ ეწოდება მწვანე პიარი. ამის შედეგად მომხმარებელი ყიდულობს პროდუქტს, რომელიც ვერ აკმაყოფილებს მის მოთხოვნებს და არ შეესაბამება მის მოლოდინს. ეს იწვევს მომხმარებლის დაბნეულობას და ძირს უთხრის ეკო ეტიკეტების და მათი მფლობელი კომპანიების სანდოობას.

მწვანე პიარის თავიდან ასაცილებლად და მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის ნდობის გასამყარებლად აუცილებელია, რომ მწარმოებელმა სწორი საბაზისო ინფორმაცია მიაწოდოს მომხმარებელს თავისი ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის შესახებ.

როგორ მივაწოდოთ მომხმარებელს ინფორმაცია პროდუქციის მდგრადობის შესახებ[1]

მნიშვნელოვანია მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს სასიცოცხლო ციკლის მოქმედებას, რათა მოხდეს გარემოზე პოტენციური და ფაქტობრივი ზემოქმედების განსაზღვრა (რესურსების მოპოვებიდან დაწყებული მისი მოხმარებით დამთავრებული). ინფორმაცია მდგრადობის შესახებ დამყარებული უნდა იყოს შემდეგ ხუთ ფუნდამენტურ პრინციპზე:

- **სანდოობა**
- **გამჭვირვალობა**
- **რელევანტურობა**
- **ხელმისაწვდომობა**
- **სიზუსტე**



გარდა ამისა, გაითვალისწინეთ პროდუქციის მდგრადობის ეკონომიკური,სოციალური და გარემოს დაცვის ყველა მიმართულება, ხაზგასმით აღნიშნეთ თქვენი პროდუქციის ან მომსახურების გრძელვადიანი დადებითი გავლენა, მოძებნეთ თქვენი გზავნილის გავრცელების ინოვაციური გზა, ითანამშრომლეთ პარტნიორებთან თქვენი სანდოობის გასაძლიერებლად და დაეხმარეთ მომხმარებელს, რომ მან შეძლოს თქვენი პროდუქციის შედარება სხვასთან.

[1] **Guidelines for Providing Product Sustainability Information.** United Nations Environment Programme, 2017. https://app-onet.tbf.dev/sites/default/files/from-crm/guidelines_executive_summary.pdf

Video. Guidelines for Providing Product Sustainability Information. United Nations Environment Programme, 2021. https://www.youtube.com/watch?v=wOOBn_RUKVE.

www.eu4environment.org

©2022 UNEP. ყველა უფლება დაცულია. ლიცენზირებულია ევროკავშირისათვის.

Design: Zoi Environment Network

Action implemented by:

OECD BETTER POLICIES FOR BETTER LIVES | UNECE | UN environment programme | UNIDO | THE WORLD BANK IBRD • IDA | WORLD BANK GROUP